



„ს ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი  
შ ვ ი დ ე უ დ ე ბ ი“


რ ა ლ ი ო ს ხ მ ა  
ს ა ა მ მ რ ო მ ვ შ ი

მ თ ხ უ ხ ს მ ბ ი ა ნ ი  
ს ა რ ბ ი ე ლ ი

დ ი დ ი უ ო რ უ მ ი ს  
პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ ხ ს ლ ე ბ ი

ა ლ ე ხ ა პ ა ხ ე ლ ი ს ი  
ქ ვ ე ლ ი ბ ე რ ე ლ ი ს ი  
ქ ა ლ ფ უ ლ ი ს რ ო ლ შ ი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შვერთდით!



საჭრტველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და კრფაპავშირთა საპარტველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
**ЛЕЛО** Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР в Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 170 (2588) შაბათი, 29 აპრილი, 1964 წ. ზანი 8 კაპ

# ეს ჩვენნი პატრიოტული ვალია!



სარ თუ არა საბჭოთა და მართული სპორტის გულშემატკივარი?

მხოლოდ სიტყვით, თუ საქმითაც? გსურს თუ არა ჩვენი რესპუბლიკა დამშვენდეს ახალი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი და კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით, რომლებზეც მომავალი პაიჭაძეები და კარტოზები, ქორჭიები და წაქაძეები, დუმბაძეები და შავლაყაძეები აღიზრდებიან? ისინი ხომ ახალ დიდებას შემატებენ სამამულო სპორტს და ახალ-ახალი სიზარულით, სიამაყის გრძობით აავსებენ თქვენს გულებს? მაშინ, შეიძინეთ ფულადი და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარის ბილეთები! იცოდეთ, რომ ლატარის შემოსავლის მეტად დიდი ნაწილი მონარდება საქართველოში ახალი სპორტული ბაზების მშენებლობას. იცოდეთ, რომ ამ სახსრებით შეიქმნება საერთაშორისო მასშტაბის დიდი სპორტული კერები, კერძოდ, ჩვენს ზღაპრულ ბაკურიანში და შავი ზღვისპირა ლესელიძეში. და იცოდეთ, რომ ოცდაათკაციანმა ბილეთმა შესაძლოა საზღვარგარეთ, დიდ საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებაზე დასასწრები ტურისტული საგზურით, ავტომანქანით, ან სხვა რამ ძვირფასი ნივთით გაგახაროს!

## სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების სენსორალური საბჭოს პრეზიდიუმი

ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმიანი მოკვებული წარმატებებისათვის და ბაზეთ „ლელოს“ დაარსებამდე 20 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების სენსორალური საბჭოს პრეზიდიუმი ბაზეთ „ლელო“ დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

## სტუმრებ უაპლაჟამ — 217

მოსდა 4 წლის წინ რომში. ბინდორეულმა „ფორთ იტალიკომ“ ერთბაშად იფიქრა და ოლიმპიური სტადიონი გააკაშაშა სამოცმა ათასმა იმპროვიზებულმა ჩირადანმა. რომელები ყველაზე დიდ გამარჯვებას ულოცავდნენ ქართველ მძლეოსანს რომერტ შავლაყაძეს — ახალ ოლიმპიურ ჩემპიონს სიმალეზე სტომაში. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მომღიმარი სახით იდგა ჩემპიონი, მის გვერდით კი მომავალი მსოფლიო რეკორდსმენი — ვალერი ბრუმელი. ორივე სპორტსმენმა ერთნაირი სიმალე დაძლია — 216 სანტიმეტრი, მაგრამ შავლაყაძემ პირველი ცდის შემდეგ, ბრუმელმა კი მეორე ცდაზე. ისტორია იშვიათად მეორდება სისუსტით, მაგრამ გუშინ კივეში არაჩვეულებრივი თანმიმდევრობით განმეორდა 4 წლის წინანდელი რომის დღეები. კვლავ რომერტ შავლაყაძე, კვლავ ვალერი ბრუმელი და ისევ ის მუსთაი თამაშა, რომელიც ყოველ წამს მზადაა ძირს ჩამოვარდეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისთვის ძველი სპორტული მეტოქეები და მეგობრები იბრძვიან. ყველა დანარჩენმა კონკურენტმა უკვე დამთავრა გამოცდა. ...217 სანტიმეტრი — კოსმოსური სიმაღლე. რომერტი მას პირველივე ცდაზე სუფთად ვეღება. ვალერის პირველი ცდა უშედეგოა, მეორე ცდაც მარცხიანი. სიმაღლე განხრვიულებულ სპორტსმენს მხოლოდ მესამე ცდაზე ნებდება. შემდეგ კი 220 სანტიმეტრი — მსოფლიო რეკორდსმენისათვის უკანასკნელი იმედი. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ იმორჩილებს მას. რომერტ შავლაყაძე ჩემპიონია!

## სუპერსპორტ სთარს

პავანა, 28 აგვისტო. დღეს აქ გაიართა ს. კაპაბლანკას სხონისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირის მეორე ტური. ს. კრუსმა (კუბა) მოუგო კ. რობანს (ავსტრია), ნ. პალევსკიმ (ბულგარეთი) — რ. ვედს (ინგლისი), ჯ. პასხანმა (ჩეხოსლოვაკია) — რ. ლეტელის (ჩილი), გ. როსტომ (არგენტინა) — მ. უდოფინს (იუგოსლავია), გ. შტალბერგმა (შვეიცია) — ბ. ბელევის (არგენტინა), რ. ორტეგამ (კუბა) — ს. გარსიას (კუბა). ლ. ვეანს (აშშ) — მ. ტაიანოვის, ვ. სმისლოვა. ოკელის (ბელგია) პარტიები გადაიდო.

ლაიფციგში, 28 აგვისტო. 5 მეტრი და 15 სანტიმეტრი. ასეთია ახალი ვერობის ახალი რეკორდი ჭოკით სტომში. იგი დაამყარა მ. პრესიერმა (გერ.).

კიბში, 28 აგვისტო. გრძელდება საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში — გენერალური სტარტები ტოკიოს ოლიმპიადის წინ. წარმატებას მიაღწია უროს ტყორცნაში ი. ბაკარინოვმა. მისი შედეგი 69 მ 55 სმ ახალი საკავშირო რეკორდია. ძველი რეკორდი, რომელიც რუდენკოვს ეკუთვნოდა, 60 სანტიმეტრით გაუმჭობესდა. თარგბენში 80 მეტრზე ჩემპიონი გახდა ი. პრესი. ფინალში მან გაიმეორა მსოფლიოს რეკორდი — 10,5. ვაუთა სპრინტერულ დისტანციაზე (100 მეტრზე რბენაში) უძლიერესი იყო ნ. პოლიტიკო — 10,2. ე. ოზოლინი მას მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩა.

ალუშტა, 28 აგვისტო. დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირადგუნდური პირველობის გათამაშება წყალქვეშა სპორტის მრავალკიდეში. წლიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებს ლინინგრადელმა სპორტსმენებმა. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის ი. ოვინიკოვა, ვაუთა შორის — ვ. სემიონოვი.

## კვლავ მზრალი ანგარიშით

მოსკოვი. ფრენბურთულ ქალთა ნაკრები გუნდების წინაოლიმპიური ტურნირის მეორე წრე კვლავ დაუმარცხებლად დაიწყო საბჭოთა ოლიმპიურმა ნაკრებმა. მან განმეორებით მატჩში კვლავ მზრალი ანგარიშით დაამარცხა „ბურჟუასტნიკის“ ნაკრები — 3:0 (15:7, 15:12, 15:9). თავის მხრივ, დინამოელებმა ასევე მზრალი ანგარიშით ძლიერ პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ნაკრების ფრენბურთელებს — 3:0 (15:13, 15:4, 15:11).

კარგი დეპიუტი რომი. გამარჯვებით დაიწყო თავიანთი გამოსვლები სან-რემოს საერთაშორისო ტურნირზე მოსკოვის „სპარტაკის“ კაპუქმა ფენბურთელებმა. ანგარიშით 3:0 მათ დაამარცხეს „სამპლორის“ (გენუა) სპორტსმენები.

### კვლავ კვლავი

● ოლიმპიური ჩირადანი განვარდობს თავის მოგზაურობას. რაც დრო გადის, იგი მით უფრო უახლოვდება იაპონიას. თურქეთიდან ცეცხლი ჩატანელ იქნა ორანის დელაქალაქ თერანში. ავროლორში მას დახვდნენ ირანის საუკეთესო სპორტსმენები, რომლებმაც ჩირადლანი მიიტანეს ქალაქის სტადიონზე.

● 27 აგვისტოს დილით ოლიმპიური ცეცხლი კვლავ ავროლორში იყო და აქედან თვითმფრინავმა გენი პაკისტანის ქალაქ ლახორისაკენ აიღო.

● იაპონურმა ვაჭრებმა „იომიურმა“ მოწოდებით მიმართა ტოკიოს მოსახლეობას: „ტოკიოელებო! ხელი გავუწოდეთ ოლიმპიადას. გავიდეთ ქუჩებში, მივიღეთ სტადიონებსა და პარკებში. ნუთუ არ შეგარცხვებათ დანავიანებული რომ არის დელაქალაქი, უველგან ვაჭრების ნაგლეგები და სხვა რამ ყრია? სასიამოვნო იქნება იმის ნახვა, როცა საზღვარგარეთელი სტუმრების ჯგუფში მუჭლუაუნების საშუალებით გვს გაიკავებს დელაქალაქის მკვიდრი? ალტაცებაში მოხვალთ რომელიმე ახეზარა კომერსანტი რომ ჩააცვებდა უცხოელს იყილოს მისგან რაიმე ნივთი? დეი, ოლიმპიადა ჩვენი ქუჩაში ქცევის შემობრუნების მომენტი გახლეს!“





